



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/1692
10/03/2020

1692-09-2-202003101358



„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი“-ს პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს
მის: თბილისი 0177, დელისის I შესახვევი 5 ა.
ელ. ფოსტა: office@csrdg.ge

ბატონო ვახტანგ,

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-მ განიხილა თქვენი 2020 წლის 18 თებერვლის №3-530 წერილი, ჰიპერმარკეტებში („კარფური“, „ფუდმარტი“, „გუდვილი“) შეძენილი რძის პროდუქტების ნიმუშებში მცენარეული ცხიმის აღმოჩენის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრის მიზნით აღებულ და გამოკვლეულ იქნა რძის პროდუქტების ნიმუშები შემდეგ ბიზნესოპერატორებთან:

1. შპს „რძის ლაბორატორია“ (ს/კ 405285551, მის: ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ №37). აღებული იქნა ყველი „იმერული“-ს ნიმუში, წარმოებული 26.02.2020.

2. შპს „რესპუბლიკა“ (ს/კ 406205592, მის: ორხევი, ახვლედიანის ქუჩა №26ა). აღებული იქნა 82,5%-ანი ნაღების კარაქი „რანინა“-ს ნიმუში, წარმოებული 21.02.20.

3. შპს „მემა კომპანი“ (ს/კ 446973963, მის: ზაჰესი, წინამძღვრიშვილის ქუჩა №2). აღებული იქნა „არაჟანი ქობულეთურის“-15%-იანის ნიმუში, წარმოებული 26.02.20. მიკვლევადობით გაირკვა, რომ წერილში აღნიშნულ ბიზნესოპერატორს შპს „ქობულეთური ტრედიდინგის“ ს/კ 412693606 ორი წელია შეწყვეტილი აქვს საქმიანობა და ამჟამად ფუნქციონირებს შპს „მემა კომპანის“ სახელით.

4. შპს „მილკენი“ (ს/კ 416296788, მის: ქ.რუსთავი, ერისთავის ქ. ნაკვეთი 79). სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ბიზნესოპერატორთან არ აღმოჩნდა „ყველი ქარხნული“, რის გამოც აღებულ იქნა ყველი „სულგუნის“ ნიმუში, წარმოებული 27.02.2020.

5. ი/მ ნოდარ ლაზარეშვილი (ს/კ 10001012704; მის: ბოლნისი, სოფ. რატევანი). აღებული იქნა ყველი „სულგუნის“ ნიმუში, წარმოებული 27.02.2020.

სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია“-ში ჩატარებული კვლევებით რძის პროდუქტებში არ დადასტურდა მცენარეული ცხიმების შემცველობა.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი

